

## ეკონომიკა



მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ეკონომიკის მაგისტრი

კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი მიხეილ ჯიბუტი

საკონტაქტო ნომერი: 577 40 05 55

პროგრამის მიზანია მაგისტრანტს მისცეს მრავალმხრივი, ღრმა და ფუნდამენტური ცოდნა ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის სფეროში, გამოუმუშავოს ეკონომიკური პრობლემების კვლევა-ძიების უნარ-ჩვევები. კ ურსდამთავრებულებს ექნებათ თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ანალიტიკური, მმართველობითი ეკონომიკური და საპროგნოზო საქმიანობის ცოდნა. გაცნობიერებული ექნებათ ეკონომიკის სფეროში ღონისძიებების შეფასების, ანალიტიკური მასალის მომზადებისა და მიკრო, მეზო და მაკროდონეზე სტრუქტურული გადაწყვეტილებების მიღების, სოციალურ-ეკონომიკური გაანგარიშების, სხვადასხვა ინფორმაციის წყაროების ანალიზისა და გამოყენების ფორმები და მეთოდები.

პროგრამის ფარგლებში მომზადებულ მაგისტრს, როგორც პროფესიონალ ანალიტიკოს ეკონომისტს შეუძლია იმუშაოს სახელმწიფო მართვის ორგანოებში: სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში; მას აგრეთვე შეეძლება დასაქმდეს ბიზნესისა და აკადემიურ სფეროებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ფირმებში, სამეცნიერო ანალიტიკურ და სასწავლო ცენტრებში.

### 1. მიზანი

მაგისტრანტს მისცეს მრავალმხრივი და ღრმა ფუნდამენტური ცოდნა ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის სფეროში, გამოუმუშავოს ეკონომიკური პრობლემებისა კვლევა-ძიების უნარ-ჩვევები.

### 2. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:

კურსდამთავრებულებს ექნებათ თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ანალიტიკური, მმართველობითი ეკონომიკური და საპროგნოზო საქმიანობის ცოდნა. გაცნობიერებული ექნებათ ეკონომიკის სფეროში ღონისძიებების შეფასების, ანალიტიკური მასალის მომზადებისა და მიკრო და მაკროდონეზე სტრუქტურული გადაწყვეტილებების მიღების, სოციალურ- ეკონომიკური გაანგარიშების სხვადასხვა ინფორმაციის წყაროების ანალიზისა და გამოყენების ფორმები და მეთოდები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ: ეკონომიკის სფეროში საქმიანობის დროს წამოჭრილი ამოცანების ფორმულირება და გადაწყვეტა; კონკრეტული კვლევის საგნიდან გამომდინარე აუცილებელი მეთოდის შერჩევა, მისი მოდიფიცირება და საჭიროების მიხედვით ახალი მეთოდის შემუშავება; მიღებული შედეგების დამუშავება და ანალიზი თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით; ეკონომიკური სუბიექტების დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მოძიება, ანალიზი, შეფასება; პროგრამების ეფექტიანობის შეფასება გაურკვევლობის ფაქტორების გათვალისწინებით; ეკონომიკის სხვადასხვა დონეებზე ეკონომიკის მაჩვენებლების პროგნოზირება

დასკვნის უნარი:

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ: კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასკვნების გამოტანა, გაწეული სამუშაოს წარმოდგენა ანგარიშების, რეფერატების, სტატიების სახით, მათი მოთხოვნების შესაბამისად გაფორმება, რედაქტირებისა და ბეჭდვის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით;

კომუნიკაციის უნარი:

კურსდამთავრებულებს:

განუვითარდებათ როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე საჭირო დოკუმენტაციის მომზადების და კომუნიკაციის უნარი; მსჯელობისა და მისგან გამომდინარე დასკვნების ნათლად, ზუსტად და ადრესატისათვის მისაღები ფორმით მიწოდების უნარი. ისინი შეძლებენ სამსახურებრივ უფლებამოვალეობათა წარმატებით განხორციელებას და ურთიერთობა-თანამშრომლობას როგორც შიდაორგანიზაციულ დონეზე, ისე ფართო საზოგადოებასთან . სტუდენტებს განუვითარდებათ ეკონომიკური მონაცემების ანალიზისა და გააზრების უნარი; მათ შეეძლებათ თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან. საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკის სფეროში, პროფესიული საქმიანობის მიმართულების შეცვლა; სწავლის უნარი:

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ:

მაგისტრი მზად იქნება დამოუკიდებლად წარმართოს ისეთი საქმიანობა, რომელიც მოითხოვს გაღრმავებულ ფუნდამენტურ და პროფესიულ მომზადებას. მას შეეძლება სწავლის გაგრძელება განათლების მომდევნო საფეხურზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

ღირებულებები:

- კურსდამთავრებული შეაფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ქვეყნის ეკონომიკური სისტემის, ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ პროფესიული პიროვნული ღირებულებების (სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა, ორგანიზებულობა და სხვ.) დაცვით;
- იცნობს გლობალიზაციის პროცესს, მსოფლიოში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის საუკეთესო პრაქტიკას და წამყვან თეორიულ მიმართულებებს. აქვს უნარი, სხვას გაუზიაროს თავისი დამოკიდებულება, თავის წვლილი შეიტანონ ახალი ღირებულებების ზრდაში.

### 3. შეფასების სისტემა

სტუდენტი პროგრამის თითოეულ კომპონენტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ დავალებებს, ამზადებს პრეზენტაციას, მონაწილეობს დისკუსიებში და ერთვება ყველა სხვა აქტივობაში, რაც აუცილებელია სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად.

100 ქულის განაწილება იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილზე. ამასთან, გამოკითხვის სახე, სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

100 ქულა					
შუალედური შეფასება - 60 ქულა			დასკვნითი შეფასება - 40 ქულა		
შეფასების კომპონენტები	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	შეფასების კომპონენტი	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
ყოველკვირეული/სასემინარო შეფასებები	20	8	დასკვნითი წერიტი გამოცდა	40	21
პრეზენტაცია	10	4			
შუალედური გამოცდა	30	8			

ყოველ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

შეფასების სისტემა, პროგრამის ყოველი კომპონენტისათვის ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა, ასევე, ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - 0 ქულა.

#### 4. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული დიპლომის მფლობელი პირი, რომელიც ჩაირიცხება ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით - საერთო სამაგისტრო გამოცდის (გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა) და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (ეკონომიკის და უცხო ენის) წარმატებით ჩაბარების საფუძველზე.

#### 5. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები

დისკუსია/დებატები · დემონსტრირების მეთოდი; · გონებრივი იერიშის მეთოდი; · ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი. · წერიტი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს: სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნას; · პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) · ჯგუფური (collaborative) მუშაობა · შემთხვევის ანალიზი (Case study); · ახსნა-განმარტებითი მეთოდი